RMG
RICH METALS GROUP

# მოწვევა კონტრაქტორის შერჩევის პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით

- **მომსახურების საგანი -** საბურღ-საამფეთქებლო სამუშაოების განხორციელება
- **მომსახურების დეტალური აღწერა -** *იხ. დანართი №3- სამუშაოების ჩატარების ტექნიკური პირობები*
  *დანართი №4 - სამუშაოთა მოცულობები*
- **მონაწილეთა იურიდიული სტატუსის დასადგენად საჭირო დოკუმენტაციის მიღების ბოლო ვადა: 23.05.2018**
- **კომერციული წინადადებების მიღების ბოლო ვადა: 30.05.2018**

1. **ორგანიზატორი: Rich Metals Group**
2. **სამუშაოების შესრულების ადგილი: ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი**
3. კონტრაქტორების შერჩევის პროცესში მონაწილე კომპანიები ადასტურებენ თავიანთ თანხმობას ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებით თანამშრომლობაზე და გამოთქვამენ მზადყოფნას, რომ უზრუნველყოფენ სამუშაოთა შესრულებას წარმოდგენილი კომერციული წინადადებისა და დოკუმენტების მიხედვით. შესაძლებელია ამ დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის მეტად დეტალიზირება და დაზუსტება ორგანიზატორის მიერ.
4. პროცესში მონაწილეობის მსურველმა კომპანიამ უნდა წარმოადგინოს იურიდიული სტატუსის დასადგენად საჭირო დოკუმენტაცია და კომერციული წინადადება

5. **მონაწილემ უნდა წარმოადგინოს კომერციული წინადადება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- ✓ ენა : ქართული/რუსული/ინგლისური
- ✓ კომერციულ წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ფიქსირებული უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.
- ✓ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი კომერციული წინადადება თანმხლები დოკუმენტაციით უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უფლებამოსილი პირის მიერ.
- ✓ კომერციული წინადადება, რომელიც არ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, არ იქნება განხილული.
- ✓ კომპანია უფლებამოსილია ხელშეკრულება გააფორმოს ცალკეულ ლოტზე.

**კომერციული წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:**

- ✓ მომსახურების ღირებულება ლოტების მიხედვით;
- ✓ გადახდის პირობები;
- ✓ მონაწილე უფლებამოსილია კომერციული წინადადება წარმოადგინოს როგორც ორივე ლოტზე ერთად, ისე თითოეულ ლოტზე ცალცალკე.

**კომერციული წინადადებები ძალაში იქნება კონტრაქტორის შერჩევის პროცესის დასრულებამდე. აღნიშნული პროცესი დასრულებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებები გაფორმდება მხარეებს შორის.**

6. მონაწილე კომპანიის კომერციული წინადადება განხილული იქნება, როგორც საფუძველი კონტრაქტორის შერჩევის პროცესში პოტენციური პრეტენდენტის გამოვლენისათვის.

7. **ანტიკორუფციული პირობები:** პოტენციური პრეტენდენტი, ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში ვალდებულია დაემორჩილოს ანტიკორუფციულ პირობებს, რომლებიც წარმოდგენილია დანართში №1

8. **კომერციული წინადადების ჩაბარების პირობები:** ყველა კომერციული წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზატორის მისამართზე : ქალაქი თბილისი, მ.ალექსიძის ქუჩა #1, შესახვევი #3. წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტით *(გარდა მონაწილის იურიდიული სტატუსის დასადგენად საჭირო დოკუმენტაციისა)*
კომერიცული წინადადებები შესაძლებელია ასევე წარმოდგენილ იქნეს შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:
TO- LPirveli@richmetalsgroup.com
CC- ZDzagnidze@richmetalsgroup.com

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

**მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი:**

<u>დირექტორის მოადგილე:</u>

**ზურა ძაგნიძე**

**T +995 599 128 686**

<u>მდივანი:</u>

**ლილე პირველი**

**T +995 579 552 051.**

9. **ხარჯები.** მონაწილე იღებს პასუხისმგებლობას ყველა ხარჯზე, რომელიც დაკავშირებულია წინადადებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებასა და წარდგენასთან და ორგანიზატორი არცერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ამ ხარჯებზე, მიუხედავად შერჩევის შედეგებისა.

10. **საუკეთესო წინადადების შერჩევის კრიტერიუმები:**

მონაწილეთა წინადადებების შერჩევა ხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- ფასი;
- გადახდის პირობები;
- აღნიშნულ სფეროში კომპანიის გამოცდილება და მისი რეპუტაცია ბაზარზე;
- **Rich Metals Group**-ის შიდა ნორმატიულ დოკუმენტებთან და პოლიტიკასთან შესაბამისობა;
- მოთხოვნილი ხარისხით უზრუნველყოფა, პარტნიორობის საფუძველზე გრძელვადიანი თანამშრომლობის შესაძლებლობა;

11. კონტრაქტორის შერჩევის პროცესის ორგანიზატორის უფლებები და მოვალეობები: ორგანიზატორი უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები მონაწილეთა მიმართ. იმ შემთხვევაში, თუკი კომერციულ წინადადებაში წარმოდგენილი იქნება არასათანადო ან არასანდო ინფორმაცია, ორგანიზატორი იტოვებს უფლებას, გამორიცხოს ისინი შერჩევის პროცესიდან ნებისმიერ ეტაპზე. კომერციული წინადადებების განხილვის შემდეგ, ორგანიზატორი ოფიციალური წერილით აცნობებს პოტენციურ პრეტენდენტებს, ხელშეკრულების გაფორმების მიზნით მომავალ მოლაპარაკებებზე

დაინტერესების შესახებ. ორგანიზატორი იტოვებს უფლებას, არ გააკეთოს კომენტარი შუალედური თუ საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ. კომერციული წინადადებების ჩაბარების ბოლო ვადამდე, არაუგვიანეს 3 დღისა, ორგანიზატორი უფლებამოსილია შეიტანოს გარკვეული ცვლილებები კონტრაქტორის შერჩევის პროცედურაში და წერილობით აცნობოს ამ ცვლილებების შესახებ ყველა მონაწილეს.

12. შედეგების გადახედვა: თუკი, თანამშრომლობის პერიოდში, რაიმე მიზეზის გამო, კონტრაქტორი ვერ შეძლებს განახორციელოს მომსახურება,რომელსაც ითვალისწინებდა მისი კომერციული წინადადება, მაშინ, ორგანიზატორს ექნება უფლება, ცალმხრივად შეწყვიტოს ან შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება და შესაბამისი მომსახურების განხორციელების უფლება გადასცეს სხვა მონაწილე კომპანიას, კონტარქტორის შერჩევის დამატებითი პროცედურების ჩატარების გარეშე.

13. დანართების ჩამონათვალი:

დანართი № 1 - ანტიკორუფციული პირობები
დანართი № 2 - მონაწილეთა იურიდიული სტატუსის დასადგენად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი
დანართი № 3 - სამუშაოების ჩატარების ტექნიკური პირობები
დანართი № 4 - სამუშაოთა მოცულობები

## დანართი № 1

### ანტიკორუფციული პირობები

მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების დროს, მხარეები, მათთან აფილირებული პირები, თანამშრომლები ან/და მათი შუამავლები პირდაპირ ან ირიბად არ მიიღებენ, არ გადაიხდიან, არ შესთავაზებენ გადახდას და არ მისცემენ რაიმე სახის ფულადი სახსრებისა ან ფასეულობების გადახდის უფლებას ნებისმიერ პირებზე, აღნიშნული პირების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ან მოქმედებაზე გავლენის მოსახდენად ნებისმიერი სახის არაკანონიერი უპირატესობის მოსაპოვებლად ან/და არაკანონიერი მიზნის მისაღწევად.

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების დროს, მხარეები, მათთან აფილირებული პირები, თანამშრომლები ან/და შუამავლები არ განახორციელებენ მოქმედებას, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით კვალიფიცირებული იქნება, როგორც ქრთამის აღება/მიცემა, კომერციული მოსყიდვა, ასევე სხვა მოქმედება, რომელიც არღვევს კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, რომლებიც მიმართულია კანონსაწინააღმდეგო გზით შემოსავლების გათეთრების წინააღმდეგ.

წინამდებარე ხელშეკრულების ყოველი მხარე უარს აცხადებს მეორე მხარის თანამშრომლების რაიმე სახით სტიმულირებაზე, მათ შორის მათთვის ფულადი სახსრების, საჩუქრების გადაცემის, მათთვის უსასყიდლო მომსახურების გაწევის ან რაიმე სხვა გზით, რომელიც აღნიშნულ პუნქტში არაა მითითებული და რომელიც მეორე მხარის თანამშრომელს აყენებს გარკვეულ დამოკიდებულ პოზიციაში და მიმართულია აღნიშნული თანამშრომლის მიერ რაიმე სახის მოქმედების განხორციელებისათვის მისი მასტიმულირებელი მხარის სასარგებლოდ.

„დამკვეთი“ იტოვებს უფლებას, რომ მეორე მხარის მიერ ჩადენილი არაკანონიერი მოქმედებების ან/და წინამდებარე ხელშეკრულების ანტიკორუფციული პირობების დარღვევის შემთხვევაში მოახდინოს: კონტრაქტორთან ურთიერთობაზე გარკვეული სახის შეზღუდვების დაწესება ან/და წინამდებარე კონტრაქტის შეწყვეტა.

მხარეების აცხადებენ, რომ განახორციელებენ ყველა საჭირო მოქმედებას წინამდებარე ხელშეკრულების ანტიკორუფციული პირობების დარღვევების შესაბამისად გამოსაძიებლად და გაატარებენ ეფექტურ ღონისძიებებს გართულებებისა და კონფლიქტური სიტუაციების თავიდან ასაცილებლად.

მხარეები გარანტიას იძლევიან, რომ დაიცავენ სრულ კონფიფენციალურობას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანტიკორუფციული პირობების შესრულების დროს და ასევე მიმართავენ ყველა ღონეს, რათა გამოირიცხოს ნეგატიური შედეგები დარღვევეის შესახებ შეტყობინების განმახორციელებელი მხარის მიმართ, ასევე აღნიშნული მხარის თანამშრომლების მიმართ, რომლებმაც შეატობინეს დარღვევის ფაქტის შესახებ.

## დანართი № 2

## მონაწილე კომპანიის იურიდიული სტატუსის დასადგენად საჭირო დოკუმენტაცია

- განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საამფეთქებლო სამუშაოების შესრულების ლიცენზია;
- ინფორმაცია აღნიშნულ სფეროში კომპანიის გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაცია ტენდერში მონაწილე კომპანიის მფლობელობაში არსებული ტექნიკის შესახებ, რომელიც საჭიროა საბურღ-საამფეთქებლო სამუშაოების განხორციელებისათვის;
- ტექნიკის მობილიზაციის პერიოდი;
- ინფორმაცია იმ ფეთქი მასალის შესახებ, რომელიც გამოყენებული იქნება ასაფეთქებელი სამუშაოებისთვის;
- რეკვიზიტები (მისამართები, როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური, ფაქტიური, ელექტრონული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები და სხვა.)

# დანართი № 3

## სამუშაოების ჩატარების ტექნიკური პირობები

სამუშაოების ჩატარების ადგილი : **I,III,IV** კარიერის უბნებზე „საყდრისი“ ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი.

ჭაბურღილების სიღრმე 1-25მ (ძირითადად 8-12მ),გაწყლოვანებულობა 50%, პროტოდიაკონოვის მიხედვით ქანების სიმაგრე 8-14, ბურღვის წვრილმანის შენახვის უზრუნველყოფა, რათა გეოლოგიურმა სამსახურმა ჩაატაროს სასარგებლო წიაღისეულის შემცველობის ანალიზი.

არაგაბირიტის გამოსავალი : 7%-მდე.

ამაღლება საფეხურის ძირზე : არ დაიშვება (+/- 1მ)

სასაწყობო ნაგებობების და ასაფეთქებელი და სხვა მასალების განსათავსებელი ტერიტორიის და აგრეთვე საჭირო ტექნიკის ქირაობის შესაძლებლობა : არსებობს.

ასაფეთქებელი მასალების, ტექნიკის, პერსონალის მიწოდება (მიყვანა) : შემსრულებლის მიერ.

საწვავ-საპოხი მასალებით ტექნიკის გამართვა: დამკვეთთან შეთანხმებით

### ძირითადი მოთხოვნები

*დამკვეთი*

- ბლოკის მომზადება ბურღვისთვის.
- საბურღი სამუშაოების პასპორტის მომზადება.
- საბურღი სამუშაოების კონტროლი პასპორტის შესაბამისად.
- საამფეთქებლო სამუშაოების ჩასატარებლად საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება (შემსრულებელთან ერთობლივად).
- შესრულებული საამფეთქებლო სამუშაოების კონტროლი და შესრულებულ საბურღ-ასაფეთქებელი სამუშაეობის აქტის შედგენა.

*შემსრულებელი*

- საბურღი სამუშაოების შესრულება „საბურღი სამუშაოების პასპორტის“ შესაბამისად, ბურღვის წვრილმანის შენახვის უზრუნველყოფა, რათა გეოლოგიურმა სამსახურმა ჩაატაროს სასარგებლო წიაღისეულის შემცველობის ანალიზი.
- შეათანხმოს და დაამტკიცოს აფეთქების საპროექტო დოკუმენტაცია.

- დამუხტვა, ჭაბურღილების დაცობა, ასაფეთქებელი ქსელის მონტაჟი, საშიში ზონის შემოფარგვლის განთავსება, აფეთქება დადგენილი სიგნალების „ასაფეთქებელი სამუშაოების ტექნიკური რეგლამენტისა და უსაფრთხოების სტანდარტის" შესაბამისად.
- გაუმართაობის ლიკვიდაცია „ასაფეთქებელი სამუშაოების ტექნიკური რეგლამენტისა და უსაფრთხოების სტანდარტის" შესაბამისად.
- ასაფეთქებელი სამუშაოების ხარისხი ფასდება არაგაბარიტის გამოსავალით (7%) და ამაღლებებით საფეხურის ძირზე არა უმეტეს +/- 1 მ ( ლიკვიდაცია ხდება შემსრულებლის ხარჯზე).

## შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის, ასევე გარემოს დაცვის შესახებ მოთხოვნები

- საჭირო დოკუმენტაციის წარმოება და ყველა სახის ინსტრუქტაჟების ჩატარება შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის შესახებ, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ღია მეთოდით დამუშავებისას და საბურღ-ასაფეთქებელი სამუშაოების ჩატარებისას. საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული ნორმების და წესების მკაცრი შესრულება სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ღია მეთოდით დამუშავებისას და საბურღ-ასაფეთქებელი სამუშაოების ჩატარებისას შემსრულებლის მთელი პერსონალის მიერ.
- პესრონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დამცავი საშუალებებით.
- ტექნიკა უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში და უზრუნველყოფილი სახანძრო უსაფრთხოების საშუალებებით.
- პერსონალს უნდა გააჩნდეს მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.
- საბურღი დანადგარები უნდა იყოს აღჭურვილი მტვრის გაფრქვევის ჩამხშობი მოწყობილობებით.
- ტექნიკური მომსახურების ჩატარება მხოლოდ სპეციალურ ადგილებში, ნებისმიერი წყალსადინარიდან მინიმუმ 50 მ დაშორებით.
- ობიექტზე გარემოს დაცვის საერთო წესების დაცვა.
- ობიექტზე ნარჩენების მართვისას წესების დაცვა.

## დანართი № 4

## შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობები

### *ლოტი № 1 საყდრისი 1*

| | ივნისი | ივლისი |
|---|---|---|
| კვარციტის მადანი | 13889 | 13889 |
| ფუჭი ქანი | 54365 | 54365 |
| სამთო მასა მ3 | 68254 | 68254 |

### *ლოტი № 2 საყდრისი ( III და IV უბნები)*

| | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სეტქემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სპილენძის მადანი | **6,548** | **7,639** | **7,639** | **7,639** | **7,639** | **8,730** | **10,913** | მ3 |
| კვარციტის მადანი | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | **0** | მ3 |
| ფუჭი ქანები | **84,405** | **81,171** | **65,397** | **87,639** | **59,980** | **23,175** | **35,873** | მ3 |

- მოცემული რაოდენობები არის საორიენტაციო. შესაძლებელია ყოველთვიურად განხორციელდეს ცვლილება ორივე კარიერზე დაახლოებით 30000 მ/3 სამთო მასის ოდენობით.